საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

# საქართველო მსოფლიო რეიტინგებში

# 2012 2019

**პუბლიკაცია ეყრდნობა შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების რეიტინგებსა და ანგარიშებს:**

- ✓ მსოფლიო ბანკი – **„ბიზნესის კეთება“**
- ✓ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი – **„გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“**
- ✓ Frazer Institute – **„მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“**
- ✓ Heritage Foundation – **„ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“**
- ✓ მსოფლიო ბანკი – **„მსოფლიო მმართველობის ინდიკატორი“**
- ✓ საერთაშორისო საბიუჯეტო თანამშრომლობა – **„ღია ბიუჯეტის ინდექსი“**
- ✓ საერთაშორისო გამჭვირვალობა – **„კორუფციის აღქმის ინდექსი“**
- ✓ მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი – **„ღია მმართველობის ინდექსი“**
- ✓ მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი – **„კანონის უზენაესობის ინდექსი“**
- ✓ Berterlsmann Stiftung – **„ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი“**
- ✓ მსოფლიოს ბიზნეს-სკოლა – **„გლობალური ინოვაციის ინდექსი“**
- ✓ გაერო – **„ელექტრონული მთავრობის კვლევა“**
- ✓ ჟურნალისტები საზღვრების გარეშე – **„მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსი“**

## სარჩევი

შესავალი ..... 4
ეფექტური და გამჭვირვალე მთავრობა ..... 7
საკუთრების უფლებები ..... 13
ბიზნესის კეთება ..... 15
ეკონომიკური გარემო ..... 19
კორუფციისგან თავისუფლება ..... 21
ბაზრის ეფექტიანობა ..... 24
კანონის უზენაესობა ..... 26
სამართალდაცვა ..... 28
ინოვაციები ..... 29
მედია თავისუფლება ..... 31

# შესავალი

2012-2019 წლებში საქართველოში არაერთი სისტემური რეფორმა განხორციელდა. საქართველომ სერიოზულ გაუმჯობესებას მიაღწია ისეთ სფეროებში, როგორიცაა ადამიანის უფლებები, მთავრობის გამჭვირვალობა, კორუფციისგან გათავისუფლება, ეფექტიანი მმართველობა, ბაზრის ეფექტიანობა და ხელსაყრელი ბიზნეს გარემო.

სწორედ სისტემური რეფორმების წარმატებულმა და ეფექტიანად განხორციელებამ განაპირობა საქართველოს პოზიციების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში.

შედეგად, 2018-2019 წლებში, საქართველომ საერთაშორისო რეიტინგებში ისტორიულ გაუმჯობესებას მიაღწია და მსოფლიოს და რეგიონის ქვეყნებს შორის ლიდერ პოზიციაზეა.

## მსოფლიო ბანკი (WB) „ბიზნესის კეთება“

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში საქართველომ 2019 წელს უპრეცედენტოდ დიდ წარმატებას მიაღწია და მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის **მე-6 ადგილი** დაიკავა, ქვეყნის ქულამ კი ისტორიული მაქსიმუმი – 83.28 ქულა შეადგინა.

## Fraser institute „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“

Fraser institute 2018 წლის ანგარიშის თანახმად „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“, საქართველომ მსოფლიოს 162 ქვეყანას შორის 8.02 ქულით **მე-7 ადგილი** დაიკავა.

## საერთაშორისო გამჭვირვალობა „კორუფციის აღქმის ინდექსი”

საერთაშორისო გამჭვირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსის” 2019 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველომ რეიტინგში თავის საუკეთესო შედეგს მიაღწია და 180 ქვეყანას შორის **41-ე ადგილი** დაიკავა. ქვეყნის სარეიტინგო ქულა და 100-ქულიან შკალაზე 58 შეადგინა. აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის (EECA) 19 ქვეყანას შორის საქართველო კვლავ პირველი პოზიციაზეა.

## Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“

Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ 2019 წლის კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 75.9 ქულით **მე-16 პოზიციაზე** „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით, ხოლო რეგიონის 44 ქვეყანას შორის მე-8 ადგილზეა.

## მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის ანგარიშის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ თანახმად, საქართველო 140 ქვეყანას შორის 60.9 ქულით **66-ე ადგილს** იკავებს.

## მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი (WJP) „კანონის უზენაესობის ინდექსი“

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „კანონის უზენაესობის ინდექსი 2019“ მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 126 ქვეყანას შორის 0.61 ქულით **41-ე ადგილზეა**.

## ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა (IBP) „ღია ბიუჯეტის ინდექსი“

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის „ღია ბიუჯეტის ინდექსის“ თანახმად, საქართველო 82 ქულით 102 ქვეყანას შორის **მე-5 პოზიციაზეა**.

## Bertelsmann Stiftung „ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი“

Bertelsmann Stiftung „ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსის“ 2018 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო 129 ქვეყანას შორის **42-ე ადგილზეა.**

## ევროპის პალატა „ევროპის საუკეთესო ქვეყნები ბიზნესისთვის“

ევროპის პალატის „ევროპის საუკეთესო ქვეყნები ბიზნესისთვის“ 2019 წლის რეიტინგის მიხედვით, საქართველო ევროპის 46 ქვეყანას შორის 71.0 ქულით **მე-16 ადგილზეა**.

## მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) „ინკლუზიური განვითარების ინდექსი“

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „ინკლუზიური განვითარების ინდექსი“ 2018 წლის ანგარიშით საქართველო 74 განვითარებად ქვეყანას შორის 3.99 ქულით **32-ე ადგილზეა**.

## მსოფლიო ბანკი (WB) „ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი“

მსოფლიო ბანკის „ადამიანისეული კაპიტალის ინდექსში“ 2018 წელს საქართველომ მსოფლიოს 157 ქვეყანას შორის 0.61 ქულით **მე-60 ადგილი** დაიკავა.

## მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი „ღია მმართველობის ინდექსი“

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი „ღია მმართველობის ინდექსის“ 2015 წლის შეფასებით, საქართველო მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის 0.61 ქულით 29-ე პოზიციაზეა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში **პირველ ადგილს** იკავებს.

## ჟურნალისტები საზღვრების გარეშე „მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსი“

ჟურნალისტები საზღვრების გარეშე ორგანიზაციის 2019 წლის „**მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსის**“ მიხედვით, საქართველომ მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის **60-ე ადგილი** დაიკავა.



# ეფექტური და გამჭვირვალე მთავრობა

მნიშვნელოვანია საერთაშორისო ინსტიტუტების დადებითი შეფასება საქართველოს მთავრობის პოლიტიკის გამჭვირვალობის და ეფექტიანობის მხრივ. აღნიშნული მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: მთავრობის ზომა და ეფექტიანობა, ბიუჯეტის გამჭვირვალობა, რეგულაციების ეფექტიანობა და სხვა.

- მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის ანგარიში „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ პოზიტიურად აფასებს საქართველოში **ბიუჯეტის გამჭვირვალობას.** აღნიშნულ კომპონენტში 2018 წელს საქართველომ **27-ე ადგილი** დაიკავა (73.1 ქულა);
- **რეგულაციების ეფექტიანობა**, რომელსაც აფასებს „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2018“ - საქართველოს პოზიციები ბოლო 6 წლის განმავლობაში 55 ადგილით გაუმჯობესდა და 2018 წელს **51-ე ადგილზეა**;
- „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ შეფასებით, **ინტერესთა კონფლიქტის რეგულაციის** კომპონენტში საქართველომ 2018 წელს **მე-11 ადგილი** დაიკავა. მისი სარეიტინგო ქულა 80-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ რეიტინგი ეყრდნობა არა ოფიციალური სტრუქტურების, არამედ რიგითი მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა შეფასებას.

http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2018/

- Fraser Institute „მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების“ 2018 წლის ანგარიში პოზიტიურად აფასებს **სახელმწიფო ინვესტიციებს**. აღნიშნულ კომპონენტში, საქართველოს მდგომარეობა 64 პოზიციით გაუმჯობესდა და 2018 წელს **31-ე ადგილზეა**;
- “მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგის მიხედვით, **მთავრობის ზომის** კომპონენტში 2012 წელთან შედარებით საქართველოს მდგომარეობა 9 პოზიციით გაუმჯობესდა და **35-ე ადგილზე** გადმოინაცვლა;
- მნიშვნელოვანია ამავე რეიტინგის შეფასება **რეგულაციის კომპონენტის** მიხედვით. აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს პოზიცია 2012 წელთან

შედარებით 12 ადგილით გაუმჯობესდა და საქართველო **მე-8 ადგილზე** იმყოფება.

http://www.freetheworld.com

- მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორის" რეიტინგში საქართველოს წინსვლა, კერძოდ, **რეგულაციების ხარისხის** მიხედვით საქართველოს მდგომარეობა 16 ადგილით გაუმჯობესდა და 2018 წელს **39-ე პოზიცია** დაიკავა;
- „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორის" მიხედვით, **მთავრობის ეფექტიანობის** კომპონენტში 2012 წელს 64-ე ადგილიდან 2017 წელს **59-ე ადგილზე** გადმოინაცვლა.

რეიტინგის თითოეული ინდიკატორი ფასდება ისეთ მონაცემებზე დაყრდნობით, როგორიცაა: მოქალაქეთა, მეწარმეთა, საჯარო და კერძო სექტორში, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე ექსპერტთა შეხედულებები და მოსაზრებები.

http://info.worldbank.org/governance/wgi

საქართველოში არსებული ინსტიტუციონალური სისტემა პოზიტიურად ფასდება მსოფლიო ბიზნეს-სკოლის (INSEAD) „გლობალური ინოვაციის ინდექსის" 2018 წლის ანგარიშის მიხედვით. 2012 წელთან შედარებით, 2018 წელს საქართველოს მდგომარეობა აღნიშნულ ინდიკატორში 12 პოზიციით გაუმჯობესდა და 126 ქვეყანას შორის 39-ე ადგილი დაიკავა. ქვეყანამ სარეიტინგო მდგომარეობა ინსტიტუციონალური სისტემის მაჩვენებლის შემდეგ კომპონენტებში გაიუმჯობესა:

- „გლობალური ინოვაციის ინდექსის" შეფასებით, საქართველომ 2012 წელთან შედარებით **მთავრობის ეფექტიანობის** კომპონენტში სარეიტინგო პოზიცია 9 ადგილით გაიუმჯობესა და 52-ე ადგილიდან 2018 წელს **43-ე ადგილზე** გადმოინაცვლა;
- **რეგულაციების ხარისხის** კომპონენტში საქართველოს შეფასება 2012 წელთან შედარებით 13 ადგილით გაუმჯობესდა და 2018 წელს **32-ე ადგილზეა**;

„გლობალური ინოვაციის ინდექსის" რეიტინგის შეფასება ეფუძნება მსოფლიოს წამყვანი სარეიტინგო კომპანიების ანგარიშებს, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ მონაცემებსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ხოლო შეფასების ნაწილი კი - ორგანიზაციის მკვლევართა ჯგუფის მიერ განხორციელებულ ყოველწლიურ Executive Opinion Survey გამოკითხვას.

https://www.globalinnovationindex.org

- ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (IBP) მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის **„ღია ბიუჯეტის ინდექსის“** თანახმად, საქართველოს სარეიტინგო პოზიციები 2017 წელს 2012 წელთან შედარებით 28 ადგილით გაუმჯობესდა და 82 ქულით 102 ქვეყანას შორის **მე-5 პოზიციას** იკავებს. 2012 წელს ქვეყნის სარეიტინგო ქულა 55-ს შეადგენდა და 33-ე ადგილზე იმყოფებოდა.

http://www.intemationalbudget.org/opening-budgets

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „ღია მმართველობის ინდექსის“ რეიტინგში 2015 წელს საქართველო 29-ე ადგილზეა 102 ქვეყანას შორის. საქართველოს პოზიციები ინდექსის ინდიკატორებში შემდეგნაირად გამოიყურება:

- **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობით** 2015 წელს საქართველო **მე-16 პოზიციაზეა** (0,70 ქულა);
- „ღია მმართველობის ინდექსის“ **სამოქალაქო ჩართულობის** კომპონენტში საქართველო **34-ე ადგილზეა;**
- რეიტინგის **სამართლებრივი აქტებისა და სამთავრობო მონაცემების გამოქვეყნების** კომპონენტში საქართველოს **36-ე ადგილი** უკავია.

http://worldjusticeproject.org/open-government-index

- მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის 2019 წლის ანგარიშის „კანონის უზენაესობის ინდექსის“ შეფასებით, 2019 წელს საქართველოს მდგომარეობა რეიტინგის კომპონეტში, **ღია მმართველობა,** 15 პოზიციით გაუმჯობესდა და 126 ქვეყანას შორის **39-ე ადგილზეა** 2012 წლის შედეგთან შედარებით;

კანონის უზენაესობის ინდექსი, ზომავს კანონის უზენაესობის ხარისხს 8 ძირითადი მიმართულებით, როგორიცაა: მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა, კორუფციის არარსებობა, ღია მმართველობა, ფუნდამენტური უფლებების დაცვა, წესრიგი და უსაფრთხოება, რეგულაციების აღსრულება, სამოქალაქო მართლმსაჯულება და სისხლის სამართლის მართლმსაჯულება.

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „კანონის უზენაესობის 2019 წლის ინდექსის“ შეფასება ეყრდნობა როგორც ადამიანის ინდივიდუალურ აღქმისა და გამოცდილების, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტების გამოკითხვის შედეგებს.

https://worldjusticeproject.org

Bertelsmann Stiftung-ის „ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი“ (BTI) აანალიზებს და შეფასებას უკეთებს **129** განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიულ და საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებულ პრინციპებს. ინდექსი ქვეყნების ტრანსფორმაციის პროცესებსა და პოლიტიკურ მმართველობის ფორმას შემდეგი ორი მიმართულებით სწავლობს: **ქვეყნის მდგომარეობის ინდექსი** და **ქვეყნის მმართველობის ინდექსი**.

- ✓ *ქვეყნის მდგომარეობის ინდექსი,* რომელიც შეისწავლის პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესებს, განსაზღვრავს ქვეყნის მიერ მიღწეულ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების დონეს.

მდგომარეობის ინდექსის მიხედვით, 2018 წელს საქართველომ 2012 წელთან შედარებით პოზიცია 15 ადგილით გაიუმჯობესა და 57-ე ადგილიდან **42-ე ადგილზე** გადმოინაცვლა. აღნიშნული ინდექსის პოლიტიკური ტრანსფორმაციის მაჩვენებელში საქართველომ პოზიცია 20 ადგილით გაიუმჯობესა და **37-ე ადგილზეა.**

- ✓ *ქვეყნის მმართველობის ინდექსი,* რომელიც განსაზღვრავს მმართველობის ხარისხს, განიხილავს და აფასებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და განხორციელებულ რეფორმებს, რომელიც იძლევა ინფორმაციას სახელმწიფოების წარმატებებისა თუ წარუმატებლობების შესახებ.

2018 წლის მონაცემებით მმართველობის ინდექსის მიხედვით, საქართველომ 2012 წლის მონაცემებთან შედარებით მდგომარეობა 21 პოზიციით გაიუმჯობესა და **33-ე ადგილზეა.**

ქვეყანამ სარეიტინგო მდგომარეობა ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსის შემდეგ ინდიკატორებსა და კომპონენტებში გაიუმჯობესა:

- **ძირითადი ადმინისტრაციული სტრუქტურების არსებობის** კომპონენტში საქართველო, 2012 წელთან შედარებით, 31 პოზიციით დაწინაურდა და 2018 წელს **მე-40 ადგილზეა**;
- **სახელმწიფოს კურსის განხორციელების** კომპონენტში საქართველო 6 პოზიციით დაწინაურდა და 34-ე ადგილიდან **28-ე ადგილზე** გადმოინაცვლა;
- საქართველო, **სახელმწიფოს მიერ რესურსების ეფექტურად გამოყენების** ინდიკატორში 2018 წელს **მე-18 ადგილს** იკავებს, ნაცვლად 2012 წელს 30-ე ადგილისა;
- **სახელმწიფო კურსის კოორდინაციის** კომპონენტში, 2018 წელს, **მე-15 პოზიციაზეა,** ნაცვლად მე-17 ადგილისა 2012 წელს;

- **ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებზე ფართო კონსენსუსის მიღწევის** ინდიკატორი 18 პოზიციით გაუმჯობესდა და **36-ე ადგილზეა;**
- რეიტინგის კომპონენტში **სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა** ქვეყანა 37 პოზიციით დაწინაურდა და 2012 წელს 48-ე ადგილიდან 2018 წელს **მე-11 ადგილზე** გადმოინაცვლა;
- **საერთაშორისო თანამშრომლობის** ინდიკატორი 29 პოზიციით გაუმჯობესდა და 72-ე ადგილიდან **43-ე ადგილზე** გადმოინაცვლა;
- კომპონენტში, **სახელმწიფო საიმედო პარტნიორად საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობაში,** საქართველო 2018 წელს **39-ე ადგილზეა**, ნაცვლად 52-ე ადგილისა 2012 წელს;
- **რეგიონალური თანამშრომლობის** კომპონენტში საქართველო მნიშვნელოვნად, 62 პოზიციით დაწინაურდა და 91-ე ადგილიდან 2018 წელს **29-ე ადგილზე** გადმოინაცვლა;
- **დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობის** ინდიკატორში საქართველო 22 პოზიციით დაწინაურდა და 2012 წელს 46-ე ადგილიდან 2018 წელს **24-ე ადგილზე** გადმოინაცვლა;
- **დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების** კომპონენტი 25 პოზიციით გაუმჯობესდა და 2018 წელს **მე-20 ადგილზეა**.

https://www.bti-project.org/en/data/



2012
2017
2018
გლობალ კონკურენტუნ-არიანობის ინდექსი
მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება
მსოფლიო მმართვე-ლობის ინდიკატორი
გლობალური ინოვაციის ინდექსი
ღია ბიუჯ-ეტის ინდექსი
ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი
კანონის უზენა-ესობის ინდექსი

# საკუთრების უფლებები

2012 წლიდან საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა იყო საკუთრების კონსტიტუციური უფლების დაცვა, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში მასობრივად ილახებოდა. ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა: შეიქმნა სპეციალური ინსტიტუტები, რომელთაც წინა წლებში არსებული დარღვევების სამართლებრივი შესწავლა დაევალათ. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასამართლო სისტემის დეპოლიტიზირებამ.

საქართველოს ხელისუფლების მიერ საკუთრების დაცვის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების მართებულობა დადასტურდა საერთაშორისო რეიტინგებშიც.

- **საკუთრების უფლებების** კომპონენტში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის" მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 83 პოზიციით გაუმჯობესდა და 131-ე ადგილიდან 2018 წელს **48-ე ადგილზე** გადმოინაცვლა.

მნიშვნელოვანია, რომ რეიტინგი მოსახლეობის განწყობას ასახავს - მისი მეთოდოლოგია კერძო სექტორის გამოკითხვებს ეფუძნება.

http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2018/

- **საკუთრების უფლების დაცვის** კომპონენტში Fraser Institute-ის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება" 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. 2012 წელთან შედარებით, ქვეყნის მდგომარეობა 69 ადგილით გაუმჯობესდა და 117-ე ადგილიდან **48-ე ადგილზე** გადმოინაცვლა.

„მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება" ზომავს ქვეყნებში განხორციელებული კურსისა და ინსტიტუციების ხარისხს, რაც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ

თავისუფლებას. მონაცემები, რომლებიც ყოველწლიურად მუშავდება, დაფუძნებულია მხოლოდ ობიექტურ, მესამე მხარის მიერ წარმოდგენილ მონაცემებსა და დამოუკიდებელ კვლევებზე 162 ქვეყნისთვის. მონაცემების წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

https://www.fraserinstitute.org/studies/economic-freedom

- **საკუთრების უფლებების დაცვის** კომპონენტში Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“ 2019 წელს საქართველოს მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 27 პოზიციით გაუმჯობესდა და **45-ე ადგილი** დაიკავა.

https://www.heritage.org/index/



# ბიზნესის კეთება

**საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ, რაც არაერთ საერთაშორისო რეიტინგში პოზიტიურად აისახა. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქვეყანაში ბიუროკრატიული წნეხის არქონას და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს არსებობას.**

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის **მე-6 ადგილი** დაიკავა. რეიტინგში 2012 წელთან შედარებით ქვეყნის პოზიცია 6 ადგილით გაუმჯობესდა, ხოლო სარეიტინგო ქულა – 3.79 პუნქტით. ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესდა რეიტინგის შემდეგ ინდიკატორებში:

- ბიზნესის დაწყება 5 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-7 ადგილიდან **მე-2 ადგილზე** გადმოინაცვლა;
- მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა 15 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-17 ადგილიდან **მე-2 ადგილზე** გადმოინაცვლა;
- კონტრაქტების აღსრულება 31 პოზიციით გაუმჯობესდა და 39-ე ადგილიდან **მე-8 ადგილზე** გადმოინაცვლა;
- გადასახადების გადახდა 29 პოზიციით გაუმჯობესდა და 45-ე ადგილიდან **მე-16 ადგილზე** გადმოინაცვლა;
- ელექტროენერგიის ქსელთან მიერთება გაუმჯობესდა 49 პოზიციით და 88-ე ადგილიდან **39-ე ადგილზე** გადმოინაცვლა;
- ვაჭრობა საზღვრებს მიღმა 5 პოზიციით გაუმჯობესდა და 47-ე ადგილიდან **43-ე ადგილზე** გადმოინაცვლა.

„ბიზნესის კეთების“ რეიტინგში 2019 წელს, საქართველო ოთხი კომპონენტით – **ბიზნესის დაწყება** (მე-2 ადგილი), **მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა** (მე-2 ადგილი), **ქონების რეგისტრაცია** (მე-4 ადგილი) და **კონტრაქტების აღსრულება** (მე-8 ადგილი) მსოფლიო მასშტაბით 190 ქვეყანას შორის პირველ ათეულში შედის.

http://www.doingbusiness.org/

Fraser Institute „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“ 2018 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველომ 6 ადგილით გაიუმჯობესა რეიტინგი და **მე-7 პოზიციაზეა**, ნაცვლად 2012 წელს მე-13 ადგილისა.

- „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ 2018 წლის რეიტინგის მიხედვით, საქართველო **სალიცენზიო შეზღუდვების** კომპონენტში 2018 წელს მე-5 ადგილს იკავებს, ნაცვლად 2012 წელს მე-8 ადგილისა.
- ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებული **ადმინისტრაციული მოთხოვნების** კომპონენტში „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგის მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 1 პოზიციით გაუმჯობესდა და 2018 წელს მე-9 ადგილზეა;
- „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“ პოზიტიურად აფასებს საქართველოს **კონტრაქტების აღსრულების** კომპონენტში 2012 წელთან შედარებით, საქართველო 5 პოზიციით დაწინაურდა და 2018 წელს მე-10 ადგილს იკავებს;
- მნიშვნელოვანია Fraser Institute-ის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგის შეფასება ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებული **ბიუროკრატიული დანახარჯების** კომპონენტში. აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს პოზიცია 2012 წელთან შედარებით 7 პოზიციით გაუმჯობესდა და 30-ე ადგილიდან 2018 წელს 23-ე ადგილზე გადმოინაცვლა;
- **კერძო სექტორისთვის კრედიტის გაცემის** კომპონენტში Fraser Institute-ის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგის მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 8 პოზიციით არის გაუმჯობესებული და 2018 წელს 33-ე ადგილზეა ნაცვლად 2012 წელს 41-ე ადგილისა.

https://www.fraserinstitute.org/studies/economic-freedom

Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“, 2012 წელთან შედარებით 2019 წელს საქართველო 18 პოზიციით დაწინაურდა და მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის **მე-16 ადგილზე** გადმოინაცვლა 34-ე ადგილიდან „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით. ბოლო 7 წლის განმავლობაში საქართველოს სარეიტინგო ქულა 6.5 პუნქტით გაუმჯობესდა და 2019 წელს 75.9 ქულა შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ 2018-ის შეფასებით, საქართველო, ევროპის რეგიონში 44 ქვეყანას შორის **მე-8 პოზიციაზე** იმყოფება, მაშინ როდესაც 2012 წელს ევროპის რეგიონში ქვეყანას მე-16 ადგილი ეკავა.

2012 წელთან შედარებით, 2019 წელს საქართველოს მსოფლიოში წამყვანი პოზიციები უჭირავს ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ:

- **ბიზნესის თავისუფლება** 10 პოზიციით გაუმჯობესდა და 23-ე ადგილიდან **მე-13 ადგილზე** გადმოინაცვლა;
- **თავისუფალი საინვესტიციო გარემო** 12 პოზიციით გაუმჯობესდა და 36-ე ადგილიდან **24-ე ადგილზე** გადმოინაცვლა.

http://www.heritage.org/index/

- „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის" შეფასებით, **აქციონერთა მმართველობის** კომპონენტში საქართველო მოწინავე პოზიციაზე იმყოფება და 2018 წელს **მე-3 ადგილი** უკავია 140 ქვეყანას შორის;
- მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის" მიხედვით საქართველომ 2018 წელს **გადახდისუუნარობის მარეგულირებელი სისტემის** კომპონენტში **46-ე ადგილი** დაიკავა, ხოლო სარეიტინგო ქულამ 68.8 შეადგინა.

http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2018/

INSEAD-ის 2018 წლის ანგარიში „გლობალური ინოვაციის ინდექსი" პოზიტიურად აფასებს საქართველოში **საინვესტიციო გარემოს თავისუფლებას**. საქართველოს მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 15 პოზიციით გაუმჯობესდა და ნაცვლად 36-ე ადგილისა 2018 წელს **21-ე ადგილზე** იმყოფება. 2018 წელს საქართველოს მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემოს თავისუფლების შემდეგ კომპონენტში:

- **მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა** 18 ადგილით არის გაუმჯობესებული - ნაცვლად 2012 წელს მე-20 ადგილისა, 2018 წელს **მე-2 ადგილზე**;
- 2018 წლის ანგარიშის "გლობალური ინოვაციის ინდექსი" მიხედვით, 2012 წელთან შედარებით, საქართველო **ბიზნესის დაწყების** კომპონენტში 4 პოზიციით დაწინაურდა და მე-8 ადგილიდან 2018 წელს **მე-4 ადგილზე გადმოინაცვლა**;

- INSEAD-ის 2018 წლის „გლობალური ინოვაციის ინდექსის“ შეფასებით, **კრედიტის მიღების** კომპონენტში საქართველო ბოლო 6 წლის განმავლობაში 10 პოზიციით დაწინაურდა და 2018 წელს **მე-11 ადგილზეა.**

https://www.globalinnovationindex.org/Home



# ეკონომიკური გარემო

Berterlsmann Stiftung-ის 2018 წლის ანგარიში “ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი” პოზიტიურად აფასებს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას. რეიტინგის შეფასებით, საზოგადოებრივი მდგომარეობის ინდექსის ეკონომიკური ტრანსფორმაციის მაჩვენებელში 2018 წელს საქართველომ 2012 წლის მონაცემებთან შედარებით პოზიცია 75 ადგილით გაიუმჯობესა (122-ე ადგილი) და მსოფლიოს 129 ქვეყანას შორის **47-ე პოზიცია** დაიკავა.

ქვეყნის სარეიტინგო მდგომარეობა ინდექსის რიგ ინდიკატორებსა და კომპონენტებში შემდეგნაირად გამოიყურება:

- კომპონენტი, **მაკროეკონომიკური სტაბილურობა,** ბოლო 6 წლის განმავლობაში გაუმჯობესდა 18 პოზიციით და 2018 წელს **31-ე ადგილზეა;**
- 2018 წელს კომპონენტში, როგორიცაა **ანტიიფლაციური/გაცვლითი კურსის პოლიტიკა**, საქართველო 58 ადგილით დაწინაურდა და **32-ე ადგილი** უკავია;
- **სავალუტო კურსისა და ფასების სტაბილურობის** ინდიკატორში 2018 წელს საქართველოს მდგომარეობა 41 ადგილით გაუმჯობესდა და **38-ე ადგილი** უკავია;
- **ეკონომიკური მდგომარეობის** ინდიკატორში საქართველო 2012 წელთან შედარებით 52 ადგილით გაუმჯობესდა და 2018 წელს **41-ე ადგილზეა;**
- **მაკროეკონომიკური მაჩვენებლების** კომპონენტში საქართველომ 2018 წელს რეიტინგში **41-ე ადგილი** დაიკავა და მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 52 პოზიციით გაიუმჯობესა, მაშინ როდესაც 2012 წელს 93-ე ადგილზე იყო;
- **სოციალურ-ეკონომიკური განვითარების** ინდიკატორში საქართველოს მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 2 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-60 ადგილიდან 2018 წელს **58-ე ადგილზე** გადმოინაცვლა.

https://www.bti-project.org/en/data/


2012
2018
31
32
38
41
41
58
37
90
79
93
93
60
ᲛᲐᲙᲠᲝᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲐ
ᲐᲜᲢᲘᲘᲜᲤᲚᲐᲪᲘᲣᲠᲘ/ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲙᲣᲠᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲐ
ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ
ᲛᲐᲙᲠᲝᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ
ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ
ᲑᲔᲠᲢᲔᲚᲡᲛᲐᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ

# კორუფციისგან თავისუფლება

სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია კორუფციის კონტროლი და კორუფციისგან თავისუფალი ბიუროკრატიული ინსტიტუტების არსებობა.

2012 წლიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გადადგმულმა ნაბიჯმა, მათ შორის ახალი ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებამ, საერთაშორისო რეკომენდაციების ეფექტიანმა შესრულებამ, ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში მიღწეულმა მნიშვნელოვანმა წარმატებამ, მამხილებელთა დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებამ, სახელმწიფო სერვისების მიწოდების ინოვაციურმა მიდგომებმა, მართლმსაჯულების რეფორმამ, პროკურატურის ინსტიტუციურმა რეფორმამ, ასევე ღიაობისა და სახელმწიფო უწყებების გამჭვირვალობის გაზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევამ განაპირობა საქართველოს რეიტინგის გაუმჯობესება სხვადასხვა ინდექსებში.

- საერთაშორისო გამჭვირვალობის 2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის **„კორუფციის აღქმის ინდექსში“** საქართველო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის **41-ე ადგილზეა** 58 ქულით (2012 წელს საქართველო 51-ე პოზიციაზე იმყოფებოდა), ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის (EECA) 19 ქვეყანას შორის საქართველო **პირველ პოზიციას** იკავებს.

„Transparency International“-ის „კორუფციის აღქმის ინდექსი“ ქვეყანაში საჯარო სექტორში არსებული კორუფციის აღქმას აფასებს, რომელიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საკონსულტაციო ჯგუფების კვლევებით გამოითვლება. ის, ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე დამკვირვებლების, მათ შორის, შეფასებულ ქვეყნებში მცხოვრები და მომუშავე ექსპერტების მოსაზრებებს ასახავს.

https://www.transparency.org/news/feature/corruption_perceptions_index_2017

- Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ პოზიტიურად აფასებს **მთავრობის სამართლიანობას** (კორუფციისგან თავისუფლება). 2019

წელს 2012 წელთან შედარებით საქართველოს პოზიცია 38 ადგილით გაუმჯობესდა და ნაცვლად 69-ე ადგილისა რეიტინგში **31-ე ადგილი** დაიკავა;

http://www.heritage.org/index/

- **კორუფციის შემთხვევების** კომპონენტში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის "გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის" მიხედვით, საქართველოს **41-ე ადგილი** უკავია 190 ქვეყანას შორის, ხოლო სარეიტინგო ქულა 56-ს შეადგენს.

http://reports.weforum.org/global-competitiveness-index/

- მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის" 2018 წლის კვლევის მიხედვით, **კორუფციის კონტროლის** კომპონენტში 2017 წელს საქართველოს შეფასება 8,68 პუნქტით გაუმჯობესდა და 77,40 ქულა შეადგინა. საქართველომ 2017 წელს რეიტინგში **48-ე ადგილი** დაიკავა და მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 19 პოზიციით გაიუმჯობესა, მაშინ როდესაც 2012 წელს 67-ე ადგილზე იყო ქულით 68,72.

http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#home

- მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „კანონის უზენაესობის ინდექსის" 2018-2019 წლის ანგარიშის თანახმად, **კორუფციის არარსებობის** კომპონენტში საქართველო 126 ქვეყანას შორის **24-ე ადგილზეა** და რეგიონში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში **პირველ პოზიციას** იკავებს.

https://worldjusticeproject.org

- Berterlsmann Stiftung-ის 2018 წლის „ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსის" თანახმად, **ანტიკორუფციული პოლიტიკის** კომპონენტში საქართველო 129 ქვეყანას შორის **მე-14 ადგილზეა**, ნაცვლად 22-ე ადგილისა 2012 წელს.

https://www.bti-project.org/en/home/



2012 2017 2018 2019
41
51
31
69
41
48
67
24
14
22
კორუფციის აღქმის ინდექსი
საერთაშორისო გამჭვირვალობა
მთავრობის სამართლიანობა
ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი
კორუფციის შემთხვევები
გლობალური კონკურენტუნ-არიანობის ინდექსი
კორუფციის კონტროლი
მსოფლიო მმართველობის ინდიკატორი
კორუფციის არარსებობა
კანონის უზენაესობის ინდექსი
ანტიკორუფციული პოლიტიკა
ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი

# ბაზრის ეფექტიანობა

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის ანგარიში „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ პოზიტიურად აფასებს საქართველოში სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობას. 2012 წელთან შედარებით ქვეყნის შეფასება 40 პოზიციით გაუმჯობესდა და 2018 წელს 42-ე ადგილი დაიკავა. ქვეყნის სარეიტინგო მდგომარეობა „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ რიგ კომპონენტებში შემდეგნაირად გამოიყურება.

- **სავაჭრო ტარიფების** კომპონენტში საქართველოს მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 28 პოზიციით გაუმჯობესდა და 33–ე ადგილიდან 2018 წელს **მე–5 ადგილზე** გადმოინაცვლა;
- **მომსახურებით ვაჭრობის გახსნილობის** კუთხით 2018 წელს საქართველოს **მე–6 ადგილი** უკავია. მისი სარეიტინგო ქულა 88.5–ს შეადგენს;
- 2018 წელს საქართველოს კომპონენტში, როგორიცაა **გადასახადებისა და სუბსიდიების ეფექტი კონკურენციაზე** 57.1 ქულით **27–ე ადგილი** უკავია;
- კომპონენტი, **იმპორტის წილი მშპ–ში**, ბოლო 6 წლის განმავლობაში გაუმჯობესდა 15 პოზიციით და 2018 წელს **30–ე ადგილზეა.**

http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2018/

- Berterlsmann Stiftung–ის 2018 წლის ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსის შეფასებით, **საბაზრო ეკონომიკის** ინდიკატორში საქართველოს მდგომარეობა 17 პოზიციით გაუმჯობესდა და 2018 წელს **47–ე ადგილზეა**, ნაცვლად 64–ე ადგილისა 2012 წელს.
- საქართველო რეიტინგის კომპონენტში, როგორიცაა **ბაზარზე დაფუძნებული კონკურენცია**, 2018 წელს 2012 წელთან შედარებით 16 ადგილით დაწინაურდა და ნაცვლად 39–ე ადგილისა რეიტინგში **23–ე ადგილზეა.**

https://www.bti-project.org/en/home/


2012
2018
5
33
6
27
30
45
47
64
23
39
სავაჭრო ტარიფები
მომსახურებით ვაჭრობის გახსნილობა
გადასახადებისა და სუბსიდიების ეფექტი კონკურენციაზე
იმპორტის წილი მშპ-ში
საბაზრო ეკონომიკა
ბაზარზე დაფუძნებული კონკურენცია
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი
ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი

# კანონის უზენაესობა

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „კანონის უზენაესობის“ 2019 წლის შეფასებით, საქართველომ რეიტინგში 2019 წელს **41-ე ადგილი** დაიკავა მსოფლიოს 126 ქვეყანას შორის. საქართველო აღმ. ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში (13 ქვეყანას შორის) **პირველ ადგილზე** იმყოფება.

- 2012 წელთან შედარებით, 2019 წელს მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „კანონის უზენაესობის“ რეიტინგში **ფუნდამენტური უფლებების დაცვის** კომპონენტში საქართველო 1 პოზიციით დაწინაურდა და მსოფლიო რეიტინგში **48-ე ადგილზეა**;
- **მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის** კომპონენტში საქართველოს პოზიცია 9 პოზიციით გაუმჯობესდა და 2012 წელს 66-ე ადგილიდან 2019 წელს **57-ე ადგილზე** გადმოინაცვლა.

https://worldjusticeproject.org

- INSEAD-ის 2018 წლის „გლობალური ინოვაციის ინდექსის“ შეფასებით, 2012 წელთან შედარებით, საქართველო **კანონის უზენაესობის** კომპონენტში 19 პოზიციით დაწინაურდა და 69-ე ადგილიდან 2018 წელს **50-ე ადგილზე** გადმოინაცვლა.

https://www.globalinnovationindex.org/Home

- Berterlsmann Stiftung-ის 2018 წლის „ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსის“ რეიტინგში **კანონის უზენაესობის** ინდიკატორში 2012 წლის მონაცემებთან შედარებით, საქართველო 10 პოზიციით დაწინაურდა და 2018 წელს **28-ე ადგილი** დაიკავა;
- **დამოუკიდებელი სასამართლოს** კომპონენტში საქართველო 10 პოზიციით დაწინაურდა და 2018 წელს **21-ე ადგილი** დაიკავა;
- **სამოქალაქო უფლებების დაცვის** კომპონენტში საქართველოს მდგომარეობა 20 პოზიციით გაიუმჯობესა და 2012 წელს 44-ე ადგილიდან 2018 წელს **24-ე ადგილზე** გადმოინაცვლა;
- **სახელისუფლებო შტოების განაწილების** კომპონენტში საქართველოს მდგომარეობა 2 პოზიციით გაიუმჯობესა და 2018 წელს **42-ე ადგილზეა;**

https://www.bti-project.org/en/home/


2012
2018
57
66
48
49
50
69
28
38
21
31
24
44
42
44
მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა
ფუნდამენტური უფლებების დაცვა
კანონის უზენაესობა
კანონის უზენაესობა
დამოუკიდებელი სასამართლო
სამოქალაქო უფლებების დაცვა
სახელისუფლებო შტოების განაწილება
კანონის უზენაესობის ინდექსი
გლობალური ინოვაციის ინდექსი
ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი

# სამართალდაცვა

საქართველოს მთავრობის მიერ სამართალდამცავ სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კრიმინოგენული მდგომარეობა, მათ შორის, ბიზნესის დაცვის მიმართულებით. ეს პოზიტიურად აისახა როგორც ადგილობრივი ბიზნესის დანახარჯების შემცირებაზე, ისე პოტენციური ინვესტორების განწყობაზე.

- **ორგანიზებული კრიმინალის** კომპონენტში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 51 პოზიციით გაუმჯობესდა და 75-ე ადგილიდან **24-ე ადგილზე** გადმოინაცვლა.

http://reports.weforum.org/global-competitiveness-index/

- **ბიზნესის დანახარჯები ტერორიზმზე** კომპონენტში Fraser Institute-ის 2018 წლის ანგარიშის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“ მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა 2012 წლის შედეგთან შედარებით 23 პოზიციით გაუმჯობესდა და 2016 წელს **31-ე ადგილზეა.**

http://www.freetheworld.com



# ინოვაციები

**მსოფლიოს ბიზნეს-სკოლის 2018 წლის რეიტინგი „გლობალური ინოვაციის ინდექსი“ აფასებს 126 ქვეყნის მონაცემებს ინოვაციური პროგრესისა და ეკონომიკის შესახებ. მასში მოცემული 80 ინდიკატორი მოიცავს ვრცელ მონახაზს ინოვაციის, პოლიტიკური გარემოს, განათლებისა და ბიზნესის დახვეწილობის ჩათვლით.**

- გლობალური ინოვაციის ინდექსში 2018 წელს 2012 წელთან შედარებით საქართველო სარეიტინგო პოზიცია 12 ადგილით გაუმჯობესდა და 71-ე ადგილიდან **59-ე პოზიციაზე** გადმოინაცვლა.

https://www.globalinnovationindex.org

მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) კვლევა, რომელიც **ელ-მთავრობის** შეფასებას ახორციელებს. ელ-მთავრობის კვლევა (E-government survey) უზრუნველყოფს ელექტრონული მთავრობის განვითარების შედარებით შეფასებას სხვა გაეროს წევრ ქვეყნებთან. მასში მოცემულია ქვეყნის ელექტრონული მთავრობის განვითარების მიმოხილვა რეგიონის და გლობალურ მასშტაბზე შემდეგი სამი მიმართულებით, როგორიცაა ონლაინ მომსახურება, ტელეკომუნიკაციებთან დაკავშირებადობა და ადამიანური უნარები.

- საქართველომ 2012 წლიდან 2018 წლამდე 12 ადგილით გაიუმჯობესა მდგომარეობა და 72-ე ადგილიდან **მე-60 პოზიციაზე** გადმოინაცვლა.

https://publicadministration.un.org

- Berterlsmann Stiftung-ის 2018 წლის ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსის რეიტინგის შეფასებით, **საგანმანათლებლო პოლიტიკის/R&D** კომპონენტში საქართველო 2012 წელთან შედარებით 20 პოზიციით დაწინაურდა და 2018 წელს მსოფლიო რეიტინგში **23-ე ადგილზეა**.

https://www.bti-project.org/en/home/

ელექტრონული მმართველობის აკადემიის (eGA) “ეროვნული კიბერუსაფრთხოების ინდექსი” წარმოადგენს მსოფლიო რეიტინგს, რომელიც აფასებს ქვეყნების მზაობას თავიდან აიცილოს კიბერსაფრთხეები და მასთან დაკავშირებული შემთხვევები.

- **„ეროვნული კიბერუსაფრთხოების ინდექსის“** მიხედვით, 2019 წელს საქართველომ **21-ე ადგილი** დაიკავა მსოფლიოს 130 ქვეყანას შორის .

https://ncsi.ega.ee/ncsi-index/



# მედია თავისუფლება

- მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის შეფასებით, **პრესის თავისუფლების** კომპონენტში საქართველო მსოფლიოს 140 ქვეყანას შორის **49-ე ადგილზეა** ქულით 72.7.

http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2018/

- ჟურნალისტები საზღვრების გარეშე ორგანიზაციის 2019 წლის „**მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსის**“ მიხედვით, 2012 წელს საქართველო 104-ე პოზიციას იკავებდა. 2012 წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია 44 პოზიციით გაუმჯობესდა და 2019 წელს **60-ე ადგილი** დაიკავა მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის.

https://rsf.org/en/ranking/2019

